ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლა

კონსტიტუციური კვლევების ცენტრი

კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მონაწილეობა საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში

2016-2017 წლები

მოკლე მიმოხილვა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლასთან აფილირებული საგანმანათლებლო კვლევითი ინსტიტუტია. ცენტრი 2012 წელს დაფუძნდა და მისი საქმიანობის ძირითადი მიზანი კონსტიტუციური უფლებებისა და ინსტიტუტების კვლევაა, რისთვისაც ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს და ეწევა აკადემიურ/პუბლიცისტურ საქმიანობას.

ცენტრი, საკონსტიტუციო კომისიის შექმნის დროიდან, მონიტორინგს უწევდა საკონსტიტუციო რეფორმას. ცენტრის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საჯარო დისკუსიებში.

წინამდებარე მოკლე ანგარიშის მიზანია, ფართო საზოგადოებას გააცნოს:

- ცენტრის საქმიანობა საკონსტიტუციო რეფორმის საკითხებთან დაკავშირებით;
- ცენტრის პოზიციები სხვადასხვა მნიშვნელოვან ინიციატივაზე;
- საკონსტიტუციო რეფორმის საკითხებზე ცენტრის საჯარო დებატებში მონაწილეობის ქრონიკა.

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

საკონსტიტუციო რეფორმის საკითხებზე ცენტრის საქმიანობა რამდენიმე მიმართულებით იყო ორგანიზებული. ესენია:

1. საჯარო დისკუსიები;
2. საკანონმდებლო მუშაობა/ადვოკატირება;
3. საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
4. საჯარო დებატებში მონაწილეობა;

საჯარო დისკუსიები

კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევრები - ალიკა კუპრავა და გიორგი მუმლაძე ჩართულნი იყვნენ საქართველოს პრეზიდენტის მიერ წამოწყებულ კამპანია - „კონსტიტუცია ყველასიას" ფარგლებში განხორციელებულ პროექტში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეხვედრებს მართავდნენ:

31 მარტი, ქ. ქუთაისი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევრებმა - გიორგი მუმლაძემ და ალიკა კუპრავამ ჩაატარეს საჯარო ლექცია, სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან. საუბარი კონსტიტუციის გარშემო წარიმართა და ძირითადად, მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმის აქტუალურ საკითხებს შეეხო. კერძოდ კი, მთავარ საკითხად, განხილული იქნა პრეზიდენტის არჩევის წესი და მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადის საკითხი.

26 აპრილი, ზუგდიდი - შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მკვლევარებმა სტუდენტებთან საჯარო ლექცია ჩაატარეს. საუბარი კონსტიტუციის გარშემო წარიმართა და ძირითადად, არჩევნებსა და პრეზიდენტის არჩევის წესს შეეხო.

საჯარო დისკუსიები

19 მაისი, ქ. ბათუმი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ალიკა კუპრავამ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან საჯარო ლექცია ჩაატარა. საუბარი კონსტიტუციის გარშემო წარიმართა და ძირითადად, მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმის აქტუალურ საკითხებს შეეხო. დისკუსიის ძირითადი ნაწილი პრეზიდენტის ირიბად არჩევის წესში თვითმმართველობის მონაწილეობის საკითხს დაეთმო.

16 ივნისი, ახალციხე - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გიორგი მუმლაძემ და ალიკა კუპრავა, სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან, საჯარო ლექცია ჩაატარეს. სადისკუსიო საკითხად გამოიკვეთა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისების საკითხი და კულტურული მემკვიდრეობის, როგორც უფლების ამოღება კონსტიტუციის პროექტიდან.

საჯარო დისკუსიები

2, 23, 24, 25 მაისი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარმა - გიორგი ნონიაშვილმა ქ. გორის, ქ. ქუთაისის, ქ. ბათუმისა და ქ. ზუგდიდის საუნივერსიტეტო სივრცეებში წაიკითხა საჯარო ლექცია, თემაზე: „რელიგიის თავისუფლება საქართველოში". საჯარო ლექციები გაიმართა ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) ორგანიზებით. მკვლევარმა ისაუბრა რელიგიის თავისუფლების კონსტიტუციურ სტანდარტებზე, საქართველოს კონსტიტუციის დაცვის გარანტიებსა და საკონსტიტუციო ცვლილებების ფარგლებში, რელიგიის თავისუფლების შესახებ წარმოდგენილ ჩანაწერებზე.

საჯარო დისკუსიები

30 მაისი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა საჯარო ლექცია, თემაზე: „ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ მიმდინარე რეფორმები". შეხვედრას უძღვებოდა კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი - გიორგი ნონიაშვილი. მოხსენებები წაიკითხეს მოწვეულმა სტუმრებმა: კოკა კიღურაძემ (მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი) და სევდია უგრეხელიძემ (ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრი; ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის კონგრესის წევრი, მმართველობითი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;) მომხსენებლებმა გააკრიტიკეს თვითმმართველობის დასუსტებისკენ გადადგმული ნაბიჯები.

საჯარო დისკუსიები

1-ლი მაისი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული თბილისის ახალგაზრდულ ცენტრის ორგანიზებით, სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარმა - გიორგი მუმლაძემ წაიკითხა საჯარო ლექცია, თემაზე: "ადამიანის უფლებები და ჩვენი კონსტიტუცია". აღნიშნული ლექცია გაიმართა პროექტის - „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა (PITA)" ფარგლებში. ლექციაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებთან ერთად, განხილული იქნა მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის რამდენიმე აქტუალური საკითხი, კონკრეტულად კი, ქორწინების დეფინიციის კონსტიტუციური გაგება და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების შეკვეცა, როგორ პირდაპირი საფრთხე დემოკრატიისთვის.

საჯარო დისკუსიები

25 აგვისტო - მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა საქართველოს კონსტიტუციის მიღების დღისადმი მიძღვნილი დისკუსია: „კონსტიტუციური წესრიგის 22 წელი". დისკუსიას გაუძღვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი - გიორგი მუშლაძე. მოხსენების ფარგლებში განხილულ იქნა მოქმედი კონსტიტუციის შექმნის პროცესი, ასევე 1995 წლიდან განხორციელებული ცვლილებები. დისკუსიის ნაწილი კი დაეთმო მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმას, კერძოდ, თუ რამდენად ქმნის იგი ხელსაყრელ გარემოს კონსტიტუციური დემოკრატიის დამკვიდრების კუთხით.

საკანონმდებლო მუშაობა/ადვოკატირება

საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის პროცესში განსხვავებული პოზიციები გამოიკვეთა, გამოქვეყნდა არაერთი პროექტი. ცენტრმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა შემდეგ საკითხებზე:

ა) ინსტიტუციური მოწყობა, ხელისუფლების გამიჯვნისა და ურთიერთგაწონასწორების პრობლემა

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას არც განუხილავს სახელმწიფოს მეთაურის არჩევის მოქმედი წესის შენარჩუნება. ერთადერთი, რასაც კომისიის საქმიანობაში ჩართული საექსპერტო და სამოქალაქო საზოგადოება „კომპრომისად" თვლის, მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების პირდაპირი წესით ჩატარებაა. აქვე მოგახსენებთ, რომ ეს „კომპრომისი" შესაძლოა, მყიფე აღმოჩნდეს, ვინაიდან საკონსტიტუციო უმრავლესობა ამ საკითხზე ბოლომდე ჩამოყალიბებული არაა და ამოქმედების ვადასთან დაკავშირებით სპეკულაციებს აგრძელებს. ამიტომ, შესაძლოა, უკვე 2018 წლიდან, საქართველოს პრეზიდენტი ხელისუფლების წყარომ - ხალხმა ვეღარ აირჩიოს.

რატომ უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტი ირიბი წესით? ამ კითხვაზე მმართველი უმრავლესობის პასუხი ფორმალისტურია და კონტექსტის გათვალისწინების გარეშე აფუძნებს საპარლამენტო სისტემის ლოგიკას. საარჩევნო კოლეგიის მიერ პრეზიდენტის არჩევა, ორპალატიანი პარლამენტის გარეშე, რთული ტერიტორიული მოწყობის არქონა, არსებული საარჩევნო სისტემა, დაბალი პოლიტიკური კულტურა და შიდა პარტიული დემოკრატიის არარსებობა პრეზიდენტის ინსტიტუტს ფართო საზოგადოებრივი ლეგიტიმაციის გარეშე დატოვებს.

არსებული რეალობის გათვალისწინებით, კონსტიტუციური კვლევების ცენტრი მხარს უჭერს პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესის შენარჩუნებას.

ბ) ადამიანის უფლებების მარეგულირებელი ნორმები

საკონსტიტუციო რეფორმის ინიციატორებმა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები წარმოადგინეს ადამიანის უფლებების რეგულირების მიმართულებით. ცვლილებები შეეხო საკუთრების, რელიგიისა და ადამიანის პირადი ცხოვრების რეგულირების საკითხებს.

საკუთრების უფლებით სარგებლობაზე ახალი შეზღუდვები იქნა შემოთავაზებული, რაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საკუთრების უფლების შეზღუდვას ითვალისწინებდა. ინიციატივის ავტორები ამას ეკონომიკური სარგებლიანობით და ადგილობრივ მესაკუთრეთა ინტერესების დაცვით ხსნიდნენ. ცენტრმა მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა აღნიშნულ ცვლილებაზე, რაც არაერთხელ გაჟღერდა მედიითა და საჯარო მიმართვებით. ცვლილება გააუარესებს ადგილობრივ მესაკუთრეთა შესაძლებლობებს, მძიმედ აისახება ეკონომიკურ პროცესებზე და ხელს შეუწყობს სახელმწიფოს დომინაციის ზრდას საკუთრების ბაზარზე, რაც საკუთრებით/ეკონომიკურ ურთიერთობებს დააზარალებს და ვიწროპარტიულ ინტერესებს დაუქვემდებარებს.

ცვლილება იქნა შემოთავაზებული რელიგიის თავისუფლების მუხლის ფორმულირებაშიც. ცვლილების თანახმად, გაფართოვდა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ჩამონათვალი. ინიციატორები ამ ცვლილებას ვენეციის კომისიასთან კონსულტაციებით ხსნიდნენ და მართლაც, ვენეციის კომისიამ მოიწონა ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტების გადატანა კონსტიტუციაში. თუმცა, ცვლილების ავტორებმა გააფართოვეს ევროპული კონვენციით შემოთავაზებული სტანდარტი და „სახელმწიფო უშიშროების" და „უსაფრთხოების" ტერმინები დაამატეს. ცენტრი უარყოფითად აფასებს აღნიშნულ ცვლილებას და რელიგიის თავისუფლების მნიშვნელოვან შეზღუდვად მიიჩნევს.

ცენტრი მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას აფიქსირებს ოჯახისა და ქორწინების მარეგულირებელი ახალი სტანდარტის შემოტანის საკითხზე და მიიჩნევს, რომ არსებული მუხლის ცვლილება მკვეთრად გააუარესებს ზოგადად ადამიანის ძირითად უფლებათა დაცულობის ხარისხს.

გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონსტიტუციური გარანტიები

კონსტიტუციური რეფორმის ინიციატორებმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტანდარტის შეცვლილი ვარიანტი გამოაქვეყნეს, რასაც შესაბამისი დარგის სპეციალისტების და აქტივისტების მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მოყვა. ცენტრის მკვლევარი გიორგი მუმლაძე აქტიურად ჩაერთო სამოქალაქო კამპანიაში, რომლის მიზანიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონსტიტუციური მექანიზმების შენარჩუნება იყო. კამპანია კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის პლატფორმის (აერთიანებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს) ეგიდით მიმდინარეობდა. კამპანიის მიზანს წარმოადგენდა კონსტიტუციის 34-ე მუხლის დებულებების და 37-ე მუხლის მესამე ნაწილის, კერძოდ - „სარგებლობდეს კულტურული გარემოთი" შენარჩუნება ახალ რედაქციაში.

მკვლევარი ჩართული იყო იმ დოკუმენტის შექმნაში, რომელსაც პლატფორმა პარლამენტს ალტერნატიულ ვარიანტად სთავაზობდა. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტთან თანამშრომლობით, მეორე მოსმენაზე გავიდა ცენტრისა და პლატფორმის ერთობლივად შემუშავებული ვარიანტი და მე-20 მუხლი იმგვარად შეივსო, რომ მანამდე არსებულ სტანდარტებს ინარჩუნებს და ნებისმიერ მოქალაქეს აძლევს უფლებას, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

კონსტიტუციური კვლევების ცენტრი მზადყოფნას გამოთქვამს ითანამრომლოს ნებისმიერ ორგანიზაციასთან, რომელიც იზიარებს ცენტრის მიერ მხარდაჭერილ ღირებულებებს, ადამიანის სამოქალაქო უფლებების დაცვისა და მდგრადი, ლეგიტიმური კონსტიტუციური სისტემის შექმნის ინტერესებს.

რეფორმაზე მუშაობისას, ცენტრი არაერთ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა, საიდანაც გამორჩეულ ყურადღებას დავუთმობთ „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტთან", „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის პლატფორმასთან" და ტრადიციულად „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამასთან (PITA)" თანამშრომლობის გამოცდილებას.

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა ორგანიზება გაუწია რელიგიის თავისუფლების მუხლში შეტანილი ცვლილებების საჯარო განხილვას, სადაც ცენტრმა საკუთარი პოზიცია წარმოადგინა. ერთობლივად შემუშავდა მიმართვა, რომელიც გაეგზავნა სახელმწიფო ინსტიტუციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. მიმართვის ადრესატები იყვნენ: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი, ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის (ვენეციის კომისია), გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, სპეციალური მომხსენებელი რელიგიის საკითხებში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. http://tdi.ge/ge/statement/arasamtavrobo-organizaciebisa-da-iuristebis-mimartva-konstituciashi-religiis-tavisuplebis

„ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამასთან (PITA)" ცენტრს თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილება გააჩნია. ცენტრის მკვლევარებმა არაერთი ლექცია ჩაატარეს პროგრამის ბენეფიციარებისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო რეფორმის საკითხების შესახებ მსჯელობაში ფართო საზოგადოების ჩართვა; პროგრამის დახმარებით, შესაძლებელი ხდება ეროვნული უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიწოდება და მათი ჩართულობის გაზრდა.

საჯარო დებატებში მონაწილეობა

საჯარო დებატებში მონაწილეობისთვის ცენტრის მკვლევარებმა აქტიურად იმუშავეს ადგილობრივ სამაუწყებლო, ბეჭდვით და ონლაინ მედიასთან. რეფორმის სხვადასხვა საკითხზე არსებული ცენტრის პოზიცია არაერთხელ გაჟღერდა ადგილობრივი მედიის საშუალებით:

იანვარი

24/01/2017 – რადიო თავისუფლება, გადაცემა „დილის საუბრები" თემა: „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის სტარტზე"; დისკუსია შეეხო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიასა და მისი ფუნქციონირებისთვის წინასაწარ განსაზღვრულ, შემჭიდროვებულ ვადებს. გიორგი მუმლაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კომისიის მიმართ საზოგადოებაში სკეპტიკური დამოკიდებულება არსებობს, რაც წინა გამოცდილებითაც არის განპირობებული და ახალი კომისიისთვის მჭიდრო სამუშაო ვადების დადგენა შესაძლოა განიმარტოს არა როგორც კონსტიტუციის შექმნის პროცესი, არამედ კულუარებს მიღმა დაწერილი კონსიტუციისთვის ფორმალური ლეგიტიმურობის მინიჭების მცდელობა. https://www.radiotavisupleba.ge/a/28254315.html

28,01,2017 - რუსთავი 2, გადაცემა კურიერი - პირდაპირ ეთერში ჩართვის დროს ალიკა კუპრავამ კომისიის საქმიანობის შემჭიდროვებული ვადების პრობლემას გაუსვა ხაზი.
(http://rustavi2.ge/ka/news/66659)

საჯარო დებატებში მონაწილეობა

მარტი

09,03,2017 - პირველი რადიო, გადაცემა „მეშვიდე სართული" - სახელმწიფო მოწყობის სისტემები და პოლიტიკა; რატომ უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტი პირდაპირი წესით? ალიკა კუპრავამ პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის მნიშვნელობაზე ისაუბრა.
https://soundcloud.com/user-864778815/09032017a-1

09,03,2017 - რუსთავი 2, გადაცემა კურიერი; პირდაპირ ეთერში ჩართვისას, ალიკა კუპრავამ გააკრიტიკა პარლამენტის თავმჯდომარის წერილი, სადაც ის უარყოფითად აფასებდა პრეზიდენტის ჩართვას კონსტიტუციის საჯარო განხილვების პროცესში. http://rustavi2.ge/ka/news/70158

21,03,2017 - რადიო თავისუფლება, დილის საუბრები - საკონსტიტუციო ცვლილებების მზადების პროცესი. სად და ვის მიერ უნდა იქნეს შემუშავებული კონსტიტუციის პროექტი, მნიშვნელოვანია თუ არა საზოგადოების ჩართულობა ამ პროცესში? ცენტრის მკვლევარმა ალიკა კუპრავამ საზოგადოების ფართო მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. https://www.radiotavisupleba.ge/a/morning-show-guest/28381980.html

აპრილი

24,04,2017 - რადიო „კომერსანტი", საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის პროცესის შეჯამება ალიკა კუპრავას მიერ. http://conlaw.iliauni.edu.ge/alika-kuprava-sakonstitutsio-tsvlilebebze/

28,04,2017 - რადიო თავისუფლება, ახალი ამბები. (პარლამენტის თავმჯდომარე vs პრეზიდენტი) - სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში შეთანხმებული პოზიცია პრეზიდენტის არჩევის წესის ამოქმედებასთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს. პრეზიდენტის ინსტიტუტის გაძლიერების მნიშვნელობაზე ისაუბრა ცენტრის მკვლევარმა ალიკა კუპრავამ.
https://www.radiotavisupleba.ge/a/parlamentis-tavmjdomare-vcs-prezidenti/28457138.html

მაისი

16/05/2017 - რადიო თავისუფლება, გადაცემა „დილის საუბრები", თემა „საქართველოს კონსტიტუციის გადახედვის პროექტი და საყოველთაო-სახალხო განხილვები"; დისკუსიის თემა იყო კონსტიტუციური ცვლილებების ტრადიცია და საერთო სახალხო განხილვები. გიორგი მუმლაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე რეფორმა მიჰყვება წარსულ ცუდ გამოცდილებას, კერძოდ, მმართველი ძალა ორიენტირებულია საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლების კონსტიტუციური ბერკეტებით გამყარებაზე და არა სამართლებრივად ღირებული დოკუმენტის შექმნაზე.
https://www.radiotavisupleba.ge/a/28490875.html

16/05/2017 - ჟურნალი ლიბერალი, სტატია „ასუსტებს თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებები კულტურის დარგის დაცვის მექანიზმებს"; პრობლემები, რომელიც ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში შეექმნება კულტურული გარემოს ცნებას. გიორგი მუმლაძე თვლის, რომ მოქალაქეს უნდა შეუნარჩუნდეს უფლება - სასამართლოს მიმართვის გზით, დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ სახელმწიფოს კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული, იცხოვრებს თუ არა ინდივიდი კულტურულ გარემოში. http://liberali.ge/articles/view/29359/asustebs-tu-ara-sakonstitutsio-tsvlilebebi-kulturis-dargis-datsvis-meqanizmebs

საჯარო დებატებში მონაწილეობა

20/05/2017 - მარნეულის რადიო, გადაცემა "ცნობიერება", თემით "საკონსტიტუციო ცვლილებები"; დისკუსია შეეხო საერთო სახალხო განხილვების გავლენას ცვლილებების პროცესზე. გიორგი მუმლაძემ აღნიშნა, რომ ისტორიულად, საერთო სახალხო განხილვებს არასდროს მოუხდენია გავლენა ცვლილებების პროცესზე, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე საერთო სახალხო განხილვებიც მხოლოდ ცვლილებების ფორმალური ლეგიტიმაციისთვის სჭირდება ხელისუფლებას. http://marneulifm.ge/ka/2017/05/20/cnobiereba/

ივნისი

08/06/2017 - რადიო თავისუფლება, ახალი ამბები, „ქორწინების დეფინიციის საკითხი კონსტიტუციაში"; რეალურად, რა მიზნებს შეიძლება ემსახურებოდეს ქორწინების დეფინიციის კონსტიტუციაში განსაზღვრა. გიორგი მუმლაძის შეფასებით, სახელისუფლო პარტიამ, წინასაარჩევნოდ მხარდამჭერების მოზიდვის მიზნით, ივაჭრა კონსტიტუციური დებულებით, რაც კონსტიტუციური პოპულიზმია. სადამფუძნებლო დოკუმენტის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენება ამცირებს საზოგადოების მისადმი ნდობას. https://www.radiotavisupleba.ge/a/qalisa-da-mamakatsis-konstitutsiuri-ertoba-tsvlileba/28536073.html

14/06/2017 - სტუდია მონიტორი, სიუჟეტი „ახალი კონსტიტუცია VS კულტურული მემკვიდრეობა"; შედეგები, რომელიც შეიძლება მოიტანოს კონსტიტუციიდან 34-ე მუხლის გაქრობამ კულტურული მემკვიდრეობისთვის. გიორგი მუმლაძემ აღნიშნა, რომ „კონსტიტუციის ახალი პროექტით, კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ღირებულების გაქრობა, საფრთხეს შეუქმნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამართლებრივ სტანდარტებს. ამიტომ, ან უნდა შენარჩუნდეს არსებული კონსტიტუციური ჩანაწერი ან უნდა გაჩნდეს ჩანაწერი, რომლის მეშვეობითაც თითოეული მოქალაქე იქნება უფლებამოსილი სუბიექტი, რომ იდავოს სასამართლოში კულტურული გარემოს დაცვა/შენარჩუნებაზე". https://www.youtube.com/results?search

20,06,2017 - რადიო საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „პიკის საათი"; დისკუსია შეეხო ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. გიორგი ნონიაშვილი პრეზიდენტის არჩევის პრობლემას შეეხო და ხაზი გაუსვა ვენეციის კომისიის რეკომენდაციის უგულვებელყოფის ფაქტს. http://radio1.ge/ge/videos/view/185988.html

22,06,2017 - რადიო საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „უფლება და თავისუფლება"; დისკუსია შეეხო საქართველოში ინტერნეტსივრცისა და მასზე განთავსებული კონტენტის კონტროლის საშუალებებს. გიორგი ნონიაშვილმა ისაუბრა კონსტიტუციური ცვლილებების პროექტში წარმოდგენილი ინტერნეტ თავისუფლების ჩანაწერის შესახებ. 21-ე საუკუნეში ინტერნეტი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მჭიდროდ არის მიბმული პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების რეალიზებასთან. მნიშვნელოვანია, საქართველოს კონსტიტუციაში ინტერნეტ-თავისუფლების აღიარებაც, ვინაიდან უკანასკნელი წლების განმავლობაში, ინტერნეტის გაკონტროლების მცდელობები მზარდი გამოწვევაა როგორც საქართველოსთვის, ისევე რეგიონისთვის. http://radio1.ge/ge/videos/view/186103.html

საჯარო დებატებში მონაწილეობა

23/06/2017 - რადიო მარნეული, ახალი ამბები „კონსტიტუციური პროექტის პირველი მოსმენით კენჭისყრაზე"; 115 დეპუტატი 0-ის წინააღმდეგ, უმრავლესობამ კონსტიტუციური ცვლილებების პროექტს მხარი დაუჭირა. გიორგი მუმლაძის აზრით, „კონსტიტუციური ცვლილებები არალეგიტიმურია, რადგან არ არსებობს პოლიტიკური კონსენსუსი ამ ცვლილებებთან დაკავშირებით, ამასთან მართველმა პარტიამ შეცდომაში შეიყვანა ვენეციის კომისია და კენჭისყრაზე დააყენა რეალურად არა ის დოკუმენტი, რომელზეც არსებობდა ვენეციის კომისიის დასკვნა/შენიშვნები, არამედ პარტიულ ინტერესებზე მორგებული ვარიანტი, რაც ამ ცვლილებების ლეგიტიმაციას საერთაშორისო ასპარეზზეც ეჭვქვეშ აყენებს.
http://marneulifm.ge/ka/?s

23,06,2017 - საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „ეპიცენტრი"; დისკუსია შეეხო საქართველოს პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესს, პირველ და მეორე მოსმენის ფარგლებში. გიორგი ნონიაშვილმა ხელისუფლების კონცენტრაციის პრობლემაზე ისაუბრა.
http://2tv.ge/ge/videos/view/186173.html

25,06,2017 - საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა "მთავარი - თამარ ჩიქოვანთან"; დისკუსია შეეხო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას და საკონსტიტუციო ცვლილებებს. გიორგი ნონიაშვილმა ისაუბრა კონსტიტუციური ცვლილებების პროექტში ვენეციის კომისიის რეკომენდაციების უგულვებელყოფაზე. http://1tv.ge/ge/videos/view/186248.html

26,06,2017 - რადიო თავისუფლება, გადაცემა „გენდერული ამბები"; დისკუსია შეეხო კონსტიტუციაში ქორწინების ჩანაწერის ცვლილებას. გიორგი ნონიაშვილმა აღნიშნა, რომ კონსტიტუციაში ქორწინების შესახებ ჩანაწერის გაჩენა სამართლებრივი კუთხით არაფერს ცვლის და მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ პარალელურად გაიზიაროს ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომები ლგბტ წყვილების თანაცხოვრებასთან დაკავშირებით - აღიაროს მათი თანაცხოვრება https://www.radiotavisupleba.ge/a/genderuli-ambebi/28579645.html

სექტემბერი

10/09/2017 - გაზეთი „ფაქტ-მეტრი", „სახელმწიფოებრივი საფრთხეები კონსტიტუციის პროექტში. სახელმწიფოებრივი საფრთხეები პრეზიდენტის არჩევის წესში? ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარმა ალიკა კუპრავამ გააკრიტიკა პრეზიდენტის არჩევნებში თვითმმართველობების ჩართვის ინიციატივა. http://factcheck.ge/article/sakhelmtsiphoebrivi-saphrthkheebikonstitutsiis-proeqtshi/